მოდით მივყვეთ თანამიმდევრულად:

II. მითითების ტვირთის ფუნქცია

მტკიცების ტვირთის წინ უსწრებს **მითითების ტვირთი**.

მითითების ტვირთისას საქმე ეხება იმას, თუ რამდენად კონკრეტულად უნდა წარმოადგინოს მხარემ ფაქტობრივი გარემოებები, რამეთუ ამათ საერთოდ შეიძინოს საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა. სხვა სიტყვებით: საქმე ეხება იმას, თუ რა **შინაარსობრივი დასაბუთებულობა** უნდა გააჩნდეს ფაქტობრივ გარემოებებს, რამეთუ ის სასამართლოსთვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იყოს ...

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების უმთავრესი წინაპირობაა მათი წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარის მიერ მათი **საკმარისად დასაბუთებულად** წარმოდგენა სამართლებრივი დავისას. მოსამართლეს არ აქვს უფლება შეამოწმოს დაუსაბუთებელი ფაქტობრივი გარემოებები, რაც მისთვის, ასე რომ ვთქვათ, სამართლებრივად არ არსებულა. თუ მხარის განმარტებები დაუსაბუთებელია, მაშინ იმთავითვე არ განიხილება მტკიცების ტვირთისა და მტკიცებულებების შეფასების საკითხი.

თუმცადა მოსამართლე საპროცესო-სამართლებრივად, ზოგადად, ვალდებულია, რომ მიუთითოს ამაზე მანამდე, სანამ ის უარს იტყოდეს მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებაზე მათი არასაკმარისად დასაბუთებულობის გამო: ამით მხარეს ეძლევა წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესაძლებლობა. გერმანიაში, მოსამართლის მითითების ამ ვალდებულების მოცულობასა და საზღვრებთან დაკავშირებით არსებობს

კანონისმიერი რეგულაციები და მოცულობითი სასამართლო პრაქტიკა, თუმცა ამ მოხსენების ფარგლებში თავს შევიკავებდი ამ საკითხის უფრო დაწვრილებით განხილვისგან.

III. მტკიცების ტვირთის ფუნქცია

თუ მხარემ შეასრულა საკუთარი ვალდებულება და საკმარისად დასაბუთებულად წარმოადგინა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც ამყარებს საკუთარ მოთხოვნას, მოსამართლე **გადადის მტკიცების ტვირთის სტადიაზე**, რამაც ორი რამ უნდა გადაწყვიტოს:

- რომელმა მხარემ უნდა ამტკიცოს, რომელი ფაქტები?
- რომელი ფაქტები უნდა დაუდოს სასამართლომ საფუძვლად საკუთარ გადაწყვეტილებას, თუ სასამართლო, მტკიცებულების შეგროვების შემდეგ, მაგ. მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, ვერ დაადგენს პოზიტიურად სახეზე იყო თუ არა განსაზღვრული ფაქტი? წარმოგიდგენთ ორ მაგალითს: რომელი ფაქტები უნდა დაუდოს სასამართლომ საკუთარ გადაწყვეტილებას, თუ მას არ შეუძლია დაადგინოს, თუ ავტოსაგზაო შემთხვევის რომელმა მონაწილემ გაიარა გზაჯვარედინზე, როდესაც მისი შუქნიშანი წითელი იყო. ან: რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ, თუ ვერც დგინდება და ვერც გამოირიცხება, რომ ძვირადღირებული ზარის განხორციელება მართლაც განსაზღვრული მულტიფუნქციური ტელეფონიდან განხორციელდა?

IV. მითითების ტვირთისა და მტკიცების ტვირთის ურთიერთმიმართება

მტკიცების ტვირთსა და მითითების ტვირთს შორის არსებობს **მჭიდრო ურთიერთმიმართება**. მტკიცების ტვირთის მქონე მხარის პროცესუალური ვალდებულებაა დასაბუთებულად წარმოადგინოს ფაქტი. თუ მტკიცების ტვირთი არ არის მხარეზე, მაშინ მხარეს სამოქალაქო პროცესში, როგორც წესი, შეუძლია შემოიფარგლოს მითითების ტვირთის მქონე მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების უარყოფით. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს მტკიცების ტვირთის შებრუნებას ან შემსუბუქებას, რასთან დაკავშირებითაც მოგვიანებით უფრო დაწვრილებით მექნება საუბარი, ამას გავლენა ექნება აგრეთვე მითითების ტვირთზე.

V. მოთხოვნები ფაქტობრივი გარემოებების დასაბუთებულობის მიმართ

მითითების ტვირთისას გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე კითხვაა: რამდენად კონკრეტული უნდა იყოს მხარის ახსნა-განმარტება იმისთვის, რომ მოსამართლემ ის საკმარისად დასაბუთებულად მიიჩნიოს, მაშასადამე, პროცესუალურად გასათვალისწინებელი იყოს ის. ალბათ არ გაგიკვირდებათ: არ არსებობს მზა რეცეპტი ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. თუმცა არსებობს მთელი რიგი პრინციპები. საბოლოოდ კი მოსამართლეზეა დამოკიდებული ამ პრინციპების სათანადოდ გამოყენება ცალკეულ შემთხვევებში, რისთვისაც მოსამართლე ძალზე დაკვირვებული უნდა იყოს.

მიიჩნევა, რომ მხარემ შეასრულა **მითითების ტვირთით** მასზე დაკისრებული ვალდებულება, რამდენადაც სასამართლოს, მხარის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტების საფუძველზე, შეუძლია შეაფასოს სახეზეა თუ არა განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის აუცილებელი ნორმის წინაპირობები. თუ მხარის ახსნა-განმარტება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, მაშინ, როგორც

წესი, აღარ არის საჭირო მხარისგან დამატებითი დეტალების წარმოდგენის მოთხოვნა, როგორცაა მაგ. განსაზღვრული გარემოებების ზუსტი დრო და მიმდინარეობა.

განსხვავებული მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ კონკრეტულ საქმეზე მნიშვნელოვანია ამ გარემოებების ცოდნა. თუ მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდება გზაჯვარედინზე, საკმარისია, თუ მოსარჩელე აცხადებს, რომ მან მწვანეზე გაიარა, ხოლო მოპასუხემ წითელზე. იწვიმა თუ არა, მოყინული იყო თუ არა გზის სავალი ნაწილი, ან კონკრეტულად როგორი იყო ხილვადობასთან დაკავშირებული სიტუაცია, ამის შემდეგ, როგორც წესი, ყველა შემთხვევაში არაარსებითია. ხოლო, თუკი ავტოსატრანსპორტო საშუალება შეჯახების აცილების გამო მოსრიალდება, სავსებით შესაძლებელია, რომ კითხვა, შეეძლო თუ არა საჭესთან მჯდომ პირს თავიდან აეცილებინა ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილების შედეგად დამდგარი სიტუაცია და შესაბამისად მოსრიალება, დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იყო გზის სავალი ნაწილი, მაგ. სველი ან მოყინული, თუ გადასაადგილებლად უსაფრთხო. ამ შემთხვევაში, მხარემ ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გააკეთოს ახსნა-განმარტება.

ამ პრინციპების შედეგია აგრეთვე, რომ სამართლებრივ დავაში, რომლის დროსაც საქმე ეხება ნასყიდობის სამართლიდან გამომდინარე **ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებებს** საკმარისია კონკრეტული ნივთობრივი ნაკლის დასახელება, რაც გულისხმობს ამ ნაკლთან დაკავშირებული გარემოებების (ეგრეთ. „ნაკლის სიმპტომები“) დილექტანტურ აღწერას. მყიდველს, ამისგან განსხვავებით, არ ევალება დაასახელოს შედავებული ნაკლის მიზეზი, ან წარმოადგინოს ტექნიკური ურთიერთმიმართებები. ანალოგიური მოქმედებს ნარდობის ან ქირავნობის ხელშეკრულებებისას მითითებულ ნაკლთან დაკავშირებით. თუ საკმარისად მოხდება ნაკლის წარმოდგენა, ნაკლის სიმპტომების დილექტანტური აღწერით, სასამართლო ვალდებულია შეაგროვოს ნაკლის არსებობისთვის შემოთავაზებული და გადაწყვეტილების მისაღებად რელევანტური მტკიცებულებები და საჭიროების შემთხვევაში დაუსვას ექსპერტს მტკიცებულებებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე კითხვები.

თუ მაგალითად, ავტომანქანის მყიდველი ახორციელებს ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებას, საკმარისია, თუ ის განაცხადებს, თუ რა აღარ უმუშავებს ავტომანქანას, მაშასადამე, მაგ. რომ ძრავი ქრება მოძრაობისას, ან რომ მაყუჩიდან გამოდის დიდი მოცულობით შავი კვამლი. თუ მოქირავნე ითხოვს ნაკლის აღმოფხვრას, საკმარისია თუ მიუთითებს, რომ სააბაზანოში მუდმივად ტენიანია ერთ-ერთი კედელი და რომ ამ კედელს სოკო გაუჩნდა. ის არ არის ვალდებული მიუთითოს, თუ რაში მდგომარეობს ნაკლი.

განსაზღვრული თავისებურებები გამომდინარეობს, ეგრეთწოდებული **შინაგანი ფაქტებიდან**, რომელიც უკავშირდება ადამიანის ნების ფორმირებას ან წადილს. ეს სახეზეა მაგ. განზრახვის არსებობისას, თუმცა აგრეთვე აზრის ფორმირების ან შინაგანი დამოკიდებულებისას.

მსგავს შინაგან პროცესებთან დაკავშირებით ვერ იქნება წარმოდგენილი პირდაპირი მტკიცებულებები მესამე პირების მხრიდან. მოსამართლეს ხომ არ შეუძლია ჩაიხედოს სხვა ადამიანის გონებაში. მას შეუძლია გარეგანი ჩარჩო-პირობებისა და განსაზღვრული ქცევების საფუძველზე დაასკვნას, თუ სავარაუდოდ რა უტრიალებდა თავში კონკრეტულ ადამიანს. თავისთავად ცხადია, რომ ცალკეულ შემთხვევებზეა დამოკიდებული ის, თუ ლოგიკურად რამდენად შესაძლებელია მსგავსი დასკვნების გაკეთება.

მითითების ტვირთისთვის ეს ნიშნავს: შინაგან ფაქტორებთან დაკავშირებით საკმარისად დასაბუთებული ფაქტობრივი გარემოებების წინაპირობაა, რომ დასახელდეს ის **არაპირდაპირი ფაქტები**, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს სხვა პირის შინაგანი სურვილი ან ნების ფორმირება.

მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია სასამართლოს შეამოწმოს, დასაბუთებულია თუ არა მხარის მსგავსი ახსნა-განმარტება, მამასადამე, საკმარისად დასაბუთებულია თუ არა ის იმისთვის, რომ დაუშვას დასკვნის გაკეთება მითითებულ შინაგან ფაქტთან დაკავშირებით.

თუ მსგავსი დასკვნა ვერ გამოიტანება დასაბუთებულად, დაუსაბუთებლად ჩაითვლება უკვე თვითონ მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები. თუ, მაგალითად, გამჭირავებელი განაცხადებს, რომ მოქირავნემ ხელშეკრულების დადებისთანავე იცოდა ქირავნობის ნივთის ნაკლის შესახებ, რის გამოც მას არ წარმოეშობა ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლება, საჭიროა გამჭირავებელმა დაასახელოს ის გარემოებები, რომლის საფუძველზეც, საკმარისი დამაჯერებლობით შეიძლება დავასკვნათ, მოქირავნის მიერ, ხელშეკრულების დადების მომენტში, მითითებული ნაკლის ცოდნა. ამისთვის, ზოგადად, ეჭვგარეშეა, რომ არ არის საკმარისი ის ფაქტი, რომ მოქირავნემ ხელშეკრულების დადებამდე დაათვალიერა ბინა. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ნაკლს, რომლის ვერ დანახვაც შეუძლებელია ბინის დათვალიერებისას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოქირავნემ მართლაც იცოდა არსებული ნაკლის შესახებ; მაგ. თუ სააბაზანოს ერთი კედლიდან რამდენიმე შორეულკეცი იყო ჩამოვარდნილი და პოტენციურმა მოქირავნემ ეს სააბაზანოც დაათვალიერა.

თუ აზრის ფორმირება ან განზრახვა ამოცნობადია გარეშე პირების მიერ, საკმარისია მითითება, თუ როგორ მოხდა საკუთარი შინაგანი დამოკიდებულების სხვისთვის აღქმადი ფორმით გამოხატვა; ამ შემთხვევაში, აღარ არის საჭირო დამატებითი არაპირდაპირი ფაქტების დასახელება. თუმცა, ბუნებრივია, პრაქტიკაში ამ მიმართულებით საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, თუ ქცევა არ გამოხატულა გასაგებად წარმოდგენილი ზეპირი ან წერილობითი ფორმით. მართალია, თავის დაქნევა შეიძლება საკმარისი იყოს, როგორც დასტური, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამასთან დაკავშირებით საჭიროა ფრთხილი მიდგომა. ეს მით უფრო მოქმედებს, თუ გამყიდველი ფიქრობს, რომ მას შეუძლია მყიდველის მიმიკიდან ამოიკითხოს თანხმობა. ყველა ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც თვალეზი უბრწყინავს სპორტული ავტომანქანის შემხედვარეს, როდი გამოხატავს ამით ამავდროულად ოფერტზე თანხმობას.

დასაბუთებულობის ვალდებულების მოცულობისას აგრეთვე გასათვალისწინებელია, თუ რომელი ინფორმაციის მიღება შეიძლება იყოს შესაძლებელი და მოთხოვნადი მხარისგან. დაირღვეოდა ეფექტური მართლმსაჯულების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება, თუ სასამართლო, მხარის ახსნა-განმარტებების დასაბუთებულობისთვის იმგვარ მოთხოვნებს დააწესებდა, რომლის შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. აქედან გამომდინარე, დასაბუთებულობის ვალდებულების მოცულობისთვის მოქმედებს ანალოგიური მიდგომა, როგორც მტკიცების ტვირთის მქონე მხარის შემთხვევაში, რომელიც, მართალია, დარწმუნებულია მის მიერ წარმოდგენილი გარემოების სინამდვილეში, თუმცა არ აქვს ამისთვის მტკიცებულება. ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით კიდევ იქნება მსჯელობა.

გარდა ამისა, არსებობს ურთიერთმიმართება ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების ინტენსიურობასა და მეორე მხარის მიერ ამ გარემოებების შეპასუხებას შორის. რაც უფრო დასაბუთებულად წარმოადგენს მითითების ტვირთის მქონე მხარე ფაქტობრივ გარემოებებს, მით უფრო ნაკლებად შეეძლება საპროცესო მოწინააღმდეგეს ამ გარემოებების მხოლოდ ზოგადად შედავება ან უბრალოდ საპირისპიროს მტკიცება. თუმცა დასაბუთებული საპირისპირო ახსნა-განმარტების ვალდებულების წინაპირობაა, რომ მხარისთვის შესაძლებელი იყოს მსგავსი ახსნა-განმარტების გაკეთება და მას ეს უნდა მოეთხოვებოდეს. ეს, როგორც წესი, ივარაუდება კიდევ, რამდენადაც მითითებული გარემოებები რეალიზდება მათი აღქმის სფეროს ფარგლებში. აქედანაც ჩანს, რომ მითითების ვალდებულების ინტენსიურობა დამოკიდებულია მხარის აღქმის შესაძლებლობებზე.

მითითების ტვირთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **ხელშეკრულებების ზეპირი ფორმით დადებისას**. ამ შემთხვევაში, კრედიტორმა უნდა განაცხადოს, თუ ვის შეუთანხმდა და რაზე. ნასყიდობის შემთხვევაში, ამაში შედის ნასყიდობის ნივთის დასახელება, კონტრაქტის დასახელება და საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტისთვის მოქმედი პირისა და, როგორც წესი, აგრეთვე ნასყიდობის ფასის მითითება. ამისგან განსხვავებით, კრედიტორს არ ევალება დეტალურად გადმოსცეს სახელშეკრულებო მოლაპარაკებები. განსაკუთრებით არ ევალება მას ზუსტად მიუთითოს თუ ვინ, როდის და ვის მიმართ რა განაცხადა. არ არის აუცილებელი მითითება დროსთან და განსაზღვრული პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, რამდენადაც ამას არ აქვს მნიშვნელობა სამართლებრივი შედეგისთვის.

თუ სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს ამ დეტალებს მითითების სანდოობის ან ალბათობისთვის, მაშინ ეს უნდა გაირკვეს მტკიცებულებების შეგროვებისას მოსამართლის მიერ შესაბამისი ჩაკითხვებით. მითითების ტვირთის მოცულობისთვის არ აქვს მნიშვნელობა აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების სანდოობის ხარისხს. ამას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მაშინ, თუ მხარე ხელშეკრულების დადების ფარგლებში უთითებს ისეთ გარემოებაზე, რომელიც არ არის თანხვედრაში ხელშეკრულების შინაარსთან. თუ, მაგ. მეორადი ავტომანქანის მყიდველი უთითებს, რომ გამყიდველმა მას გარანტია მისცა იმასთან დაკავშირებით, რომ ავტომანქანა არასდროს ყოფილა დაზიანებული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად და თუ ამასთან დაკავშირებით არაფერი წერია ხელშეკრულებაში, მითითების ტვირთის საგანს არ წარმოადგენს ის, რომ მყიდველმა გასაგებად განმარტოს, თუ რამ გამოიწვია ამ ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების არსებობა. სანამ მყიდველი ნაადრევად გაიხარებდეს, უნდა ითქვას, რომ: მტკიცებულებების შეფასების ფარგლებში შესაძლოა მისთვის გართულდეს სასამართლოს დარწმუნება ზეპირსიტყვიერი შეთანხმების არსებობასთან დაკავშირებით. არსებობს პრეზუმფცია იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების მხარეები წერილობით ხელშეკრულებაში სრულყოფილად და სწორად ითვალისწინებენ იმას, რაც მათ სურთ. გამარტივებულად რომ ვთქვათ, შესაბამისად მოქმედებს: მყიდველზეა მტკიცების ტვირთი იმის დასამტკიცებლად, რომ არასწორია ხელშეკრულების შინაარსი. ამ საკითხს მოგვიანებით კვლავ დავუბრუნდები.

მხარეს შეუძლია სამართლებრივი დავის მსვლელობისას **შეცვალოს** ფაქტობრივი გარემოებები, უპირველეს ყოვლისა, დააზუსტოს, განავრცოს ან შეასწოროს, ან თუნდაც, სულაც საპირისპირო ამტკიცოს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მოქმედებს: მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების ცვლილებით წარმოშობილი წინააღმდეგობები ან შეუსაბამობები გაითვალისწინება მტკიცებულებების შეფასების ფარგლებში. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე იმას, ეხება თუ არა საქმე გარემოებებს, რომელიც მხარის აღქმის სფეროს სცილდება და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილება მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებში შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამასობაში სხვა დასკვნები გაკეთდა მესამე პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. თუ პირიქით, შეიცვლება მხარის ახსნა-განმარტება მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც საფუძვლად ედო მხარის აღქმას, ან, თუ მხარე, საერთოდ საწინააღმდეგოზე უთითებს, მაშინ, როგორც წესი, უფრო ლოგიკურია დავასკვნათ, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა წარმოადგენს მხარის პროცესუალურ-ტაქტიკურ ნაბიჯს, მამასადამე, დაინტერესებული მხარე „სწრაფად მოერგო სიტუაციის ცვლილებას“. თუმცაღა მსგავსი ვარაუდის შემთხვევაშიც კი, რამდენადაც ეს სამართლებრივად რელევანტურია, უნდა შემოწმდეს მხარის მიერ წარმოდგენილი ეს ახსნა-განმარტება და მასში ცვლილებას, მტკიცებულებების შეგროვების ფარგლებში, შეიძლება მიენიჭოს არაპირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობა.

VI. მტკიცების ტვირთი

როგორც უკვე აღინიშნა: მტკიცების ტვირთის საკითხი დაისმის მხოლოდ იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელზეც საკმარისად დასაბუთებულად მოხდა მითითება დასახელებული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მტკიცების ტვირთის შეფასება ყოველთვის ხდება **კრედიტორსა და მოვალეს შორის** მატერიალური სამართლიდან გამომდინარე **ურთიერთობიდან** და არა მოსარჩელე-მოპასუხის პროცესუალური კონსტელაციის შესაბამისად. ამიტომაც, ნეგატიური აღიარებითი სარჩელისას, მხარეთა „გადანაცვლებული“ როლები არაფერს ცვლის მატერიალურ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით. მითუმეტეს სულერთია, მოთხოვნის განხორციელება გაქვითვის გზით ხდება, თუ შეგებებული სარჩელით.

ეს მჭიდრო კავშირი მატერიალურ სამართალთან არის აგრეთვე იმის მიზეზი, რის გამოც გერმანიაში **მტკიცების ტვირთის სამართალი** ესმით, როგორც **მატერიალური სამართლის** და არა საპროცესო სამართლის ნაწილი. ეს საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამართლის დოგმატიკის კუთხით, არამედ მას აქვს აგრეთვე პრაქტიკული გავლენა იმდენად, რამდენადაც მატერიალურ სამართალს მიკუთვნებით უნდა შემოწმდეს მტკიცების ტვირთის სწორად გამოყენება საკასაციო წარმოებისას აგრეთვე შესაბამისი პროცესუალური შეცდომების განხორციელების გარეშე (შდრ. ქართულ სამართალში საკასაციო სამართალწარმოებასთან დაკ.: სსკ-ის 404-ე მუხ. პირველი ნაწილის მე-2 წინ., 396-ე მუხ. პირველი ნაწ. „ვ“ ქვეპუნქტი).

როგორც დასაწყისში უკვე მოკლედ ვახსენე, როგორც წესი, ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი ფაქტები, მაშასადამე, მისი მოთხოვნის უფლების ან შესაგებლის ფაქტობრივი წინაპირობები. თუმცა ჩვენი ყოველდღიური ყოფა ძალზე მრავალფეროვანი და კომპლექსურია იმისთვის, რომ „ხელსაყრელისა“ და „არახელსაყრელის“ მიხედვით მსგავსი სახით უხეშად დაყოფით შესაძლებელი იყოს მტკიცების ტვირთის ობიექტურად განაწილება. მაგალითისთვის კმარა აგრეთვე ავტორიზაციის დადასტურება ონლაინ საბანკო მომსახურების მიღების დროს. ან: წარმოიდგინეთ, საკუთარ სახლში ცოტა მომეტებული სიძლიერით დგამთ მაგიდაზე გაზიანი გამაგრებელი სასმელის შუშის ბოთლს, რომელიც გასკდება, რის შედეგადაც ხელი გაგეჭრებათ. როგორ გინდათ დაამტკიცოთ, თუ რამ გამოიწვია ბოთლის გასკდომა?

ეს მაგალითები უკვე გვიჩვენებს, რომ ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვით, ყოველმა მხარემ უნდა მიუთითოს და ამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი გარემოებები, ხშირად არ არის შესატყვისი მიდგომა, რამაც ფაქტობრივად შეიძლება მიგვიყვანო ეფექტურ სამართლებრივ დაცვაზე უარის თქმამდე.

მოდით გავაანალიზოთ დეტალურად:

ბევრ მატერიალურ-სამართლებრივ დებულებაში, როგორც გერმანულ ისე ქართულ კანონმდებლობაში, წარმოდგენილია წესისა და ამ წესისგან გამონაკლისის ურთიერთმიმართება. მსგავსი ეგრეთწოდებული **მტკიცების ტვირთის რეგულაციები** გამომდინარეობს კანონისმიერი ფორმულირებებისგან, როგორცაა „გარდა იმ შემთხვევისა“, „რამდენადაც ეს არ...“, „ანაზღაურების ვალდებულება გამოირიცხება, რამდენადაც“, „ეს არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ“ და ა.შ. უპირველეს ყოვლისა, ახალ კანონებში სულ უფრო ხშირად ვაწყდებით მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით პირდაპირ რეგულაციებს, განსაკუთრებით, ვალდებულების დარღვევის მიზეზობრივ კავშირთან ზიანის დადგომასთან (მაგ. მედიკამენტების შესახებ გერმანული კანონის § 84-ის მე-2 ნაწ.) და მედიკამენტის მიღებასა და ჯანმრთელობის დაზიანებას შორის მიზეზობრივ კავშირთან დაკავშირებით; მსგავსი შინაარსისაა

აგრეთვე მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ გერმანული კანონის § 1-ის მე-4 ნაწ. პროდუქტის ხარვეზის მიზეზობრივი კავშირის თაობაზე ზიანის დადგომასთან).

გერმანულ სამოქალაქო პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების პრინციპს, რომელსაც აგრეთვე „პირველადი ვარაუდის მტკიცებულებად“ მოიხსენებენ. პირველადი ვარაუდის მტკიცებულება აკონკრეტებს საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს. მისი გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საყოველთაოდ აღიარებული ფაქტის შესაბამისად უნდა ამოვდიოდეთ განსაზღვრული შედეგის განსაზღვრულ მიზეზთან და/ან განსაზღვრულ მიზეზ-შედეგობრივ პროცესთან კავშირიდან, ან იმ შემთხვევაში, როდესაც საყოველთაოდ აღიარებული ფაქტის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ განსაზღვრული გარემოების საფუძველზე კონკრეტული შედეგის დადგომა.

გერმანიაში ამასთან დაკავშირებით, შემოკლებით, ხშირად, აგრეთვე ამბობენ, რომ პირველადი ვარაუდის მტკიცებულება „მეტყველებს ბრალეულობის არსებობის სასარგებლოდ“.

პირველადი ვარაუდის მტკიცებულების გამოყენების **წინაპირობას** წარმოადგენს ის, რომ **უდავო ან დამტკიცებული უნდა იყოს განსაზღვრული საწყისი გარემოება**, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ფაქტების შესაბამისად, **დიდი ალბათობით, უთითებს განსაზღვრულ კავშირებზე**. ხოლო თუ ეს საწყისი გარემოება მხოლოდ შესაძლებლად შეიძლება იქნეს მიჩნეული, ამ შემთხვევაში, არ იქნება სახეზე პირველადი ვარაუდის მტკიცებულება.

პირველადი ვარაუდის მტკიცებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ავტოსაგზაო შემთხვევების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში. ამონარიდების სახით წარმოგიდგინებ აქტუალურ უმაღლეს სასამართლო პრაქტიკას გერმანიიდან:

- იმ ავტოსაგზაო შემთხვევებისას, რომლის დროსაც საქმე ეხება **უკნიდან დაჯახებას**, პირველადი ვარაუდი შესაძლოა მეტყველებდეს იმის სასარგებლოდ, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია უკნიდან დამჯახებლის ბრალეულმა ქმედებამ. თუმცაღა ამის წინაპირობაა, რომ დასაწყისში სახეზე უნდა ყოფილიყო უკნიდან დაჯახებისთვის დამახასიათებელი ავტოსაგზაო ვითარება, მაშასადამე უკნიდან დაჯახება მოძრაობისას, დამუხრუჭებისას ან გზაჯვარედინზე მდგომ ავტომობილზე.

- ავტოსაგზაო შემთხვევისას, რომლის დროსაც საქმე ეხება მარცხენა მხარეს მომხვევი ავტომანქანის შეჯახებას გადამსწრებთან, პირველადი ვარაუდის მტკიცებულება მეტყველებს იმაზე, რომ მომხვევმა არ შეასრულა ეგრეთწოდებული მეორადი უკან გახედვის ვალდებულება (უშუალოდ მოხვევის მანევრის დაწყების წინ უკანა ხედვის სარკეში ჩახედვა) და აქედან გამომდინარე, ბრალი მიუძღვის ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომაში.

აგრეთვე თანამედროვე გადახდებისა და კომუნიკაციის მრავალი თანამედროვე ფორმისას, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება პირველადი ვარაუდის მტკიცებულებების პრინციპების გამოყენება პრაქტიკაში.

- გადახდის ავთენტურობის დადგენის ინსტრუმენტის დახმარებით განხორციელებული ონლაინ საბანკო ოპერაციისას პირველადი ვარაუდის მტკიცებულებების პრინციპები გამოიყენება, როდესაც კონკრეტულ ცალკეულ შემთხვევაში დადგენილია, ერთი მხრივ, აქტუალური ცოდნის საფუძველზე გამოყენებული უსაფრთხოების პროცედურის პრაქტიკული დაძლევის შეუძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი შესატყვისი გამოყენება და უხარვეზო ფუნქციონირება.

- სატელეფონო საუბრების გადასახადის სისწორის პირველადი ვარაუდის მტკიცებულება სახეზეა, რამდენადაც ადგილი აქვს სერტიფიცირებული გამოთვლის სისტემის (ტელეკომუნიკაციის შესახებ გერმანული კანონის § 45^ზ მე-2 ნაწ.) გამოყენებას და როდესაც მოხდა მომხმარებლის დროული გასაჩივრების შემთხვევაში ტექნიკური შემოწმების (ტელეკომუნიკაციის შესახებ გერმანული კანონის §

45ი მე-2 ნაწ. მე-2 წინ. და მე-3 ნაწ. მე-2 წინ.) განხორციელება, რომლის შედეგადაც ვერ დადგინდა შეცდომის ან მანიპულაციის შემთხვევები.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა ამოდის იმ მოცემულობიდან, რომ ზოგადად არ არსებობს საკმარისი დარწმუნებით პროგნოზირებადი ადამიანის ქცევის სახეები განსაზღვრულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, არ არის დასაშვები პირველადი ვარაუდის მტკიცებულება ადამიანური ნების ფორმირებისას, რომელიც, როგორც წესი, განპირობებულია ინდივიდუალური ფაქტორებით.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა განსაზღვრული კონსტელაციებისას ძალზე სიფრთხილით უდგება ადამიანური ქცევის ფორმების გამოყენებას პირველადი ვარაუდის მტკიცებულებებისას. ეს განსაკუთრებით მოქმედებს განმარტებისა და კონსულტაციის ვალდებულებების დარღვევის შემთხვევებში, რასაც კონსულტაციის შესატყვისი ქცევის ვარაუდსაც უწოდებენ. მხარეს ამ ვარაუდზე, ყველა შემთხვევაში, მაშინ შეუძლია დააფუძნოს საკუთარი მოთხოვნა, როდესაც ინტერესთა სიტუაციის ან სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, კონკრეტულ სიტუაციაში, შესატყვისი კონსულტაციის გაწევის შემთხვევაში, სახეზე იქნებოდა განსაზღვრული ნების ფორმირება. ეს განსაკუთრებით მოქმედებს ადვოკატების, საგადასახადო მრჩეველების ან ნოტარიუსების მხრიდან კონსულტაციის გაწევის შემთხვევებში. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება კონსულტაციის დაშვებულ შეცდომას კაპიტალდაბანდების სფეროში, ხშირად ძალზე რთულია სწორი ზომის შერჩევა მტკიცების ტვირთისას ჰიპოთეტური მოქმედებისთვის, როდესაც სახეზეა შესატყვისი კონსულტაციის გაწევა. განსაკუთრებით გადაწყვეტილებებს, რომელიც ეხება კაპიტალდაბანდებს თუ არ დაბანდებს, ან როგორ დაბანდებს, ხშირად საფუძვლად უდევს ინდივიდუალური ნების ფორმირება, რომელზეც გავლენას ახდენს მრავალმხრივი რაციონალური თუ ირაციონალური ფაქტორი და აგრეთვე სპეკულაციური ელემენტები.

მსგავსად პრობლემატურია ჰიპოთეტური ქცევის პროგნოსტიცირება ექიმის მიერ განმარტების ვალდებულების დარღვევის შემთხვევებისას. იმისთვის, რომ ამ სფეროებში ჰიპოთეტურ ქცევასთან (რა გადაწყვეტილებას მიიღებდა პირი სათანადო კონსულტაციისა ან განმარტების შემთხვევაში?) დაკავშირებით მივაღწიოთ მტკიცების ტვირთის ობიექტურ განაწილებას, სასამართლო პრაქტიკა ექიმის მიერ განმარტების ვალდებულების დარღვევისას ნაწილობრივ საკმარისად მიიჩნევს, თუ მხარეს უბრალოდ გაუჭირდებოდა გადაწყვეტილების მიღება, იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნებოდა ექიმის მხრიდან სათანადო კონსულტაციის გაწევა ან განმარტების გაკეთება.

რამდენადაც მხარის სასარგებლოდ სახეზეა პირველადი ვარაუდის მტკიცებულების საფუძვლები, უკვე საპროცესო მოწინააღმდეგის ხელშია ამ საფუძვლების შერყევა. ვინაიდან პირველადი ვარაუდის მტკიცებულება ქმნის მტკიცების წესს, რომელიც ეფუძნება პროცესის განსაზღვრულ მიმდინარეობას, ის არ ამართლებს მტკიცების ტვირთის სრულ შემობრუნებას. აქედან გამომდინარე, პირველადი ვარაუდის მტკიცებულების შერყევისთვის საკმარისია იმ საყოველთაოდ აღიარებული ფაქტის სერიოზულად კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ მტკიცებულებას. ესე იგი არ არის აუცილებელი სხვა მიზეზობრივი მსვლელობის, მაშასადამე, პირველადი ვარაუდის მტკიცებულების შედეგად ნავარაუდები კავშირების საპირისპიროს დამტკიცება. თუმცა მხარემ უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლისგანაც სერიოზულად უნდა

გამომდინარეობდეს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა სახეზე ყოფილიყო აგრეთვე მოვლენის არატიპური განვითარება. პირველადი ვარაუდის მტკიცებულების მსგავსი შერყევა, ან მისთვის საფუძვლის გამოცლა, მხოლოდ ამ მტკიცებულების შედეგებს აღმოფხვრის, მაშასადამე, კანონისმიერ ვარაუდს. თუმცა არაფერი იცვლება იმასთან დაკავშირებით, რომ მტკიცების ტვირთის მქონე მხარეს კვლავინდებურად შეუძლია წარმოადგინოს სრული მტკიცებულება მის მიერ მითითებული გარემოების მიზეზობრივ კავშირთან დაკავშირებით.

ამრიგად, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების წარმოდგენით შევეცადე მეჩვენებინა ეს ურთიერთმფარავი დამოკიდებულება. ამ საქმის ამოსავალი წერტილი იყო ავტოსაგზაო შემთხვევა ავტობანზე, რომლის დროსაც მოტოციკლის მძღოლი დაეჯახა ავტოსატრანსპორტო საშუალებას. მოტოციკლის მძღოლი ამტკიცებდა, რომ უშუალოდ შეჯახებამდე, გადასწრების ზოლში მდებარე ავტოსატრანსპორტო საშუალებამ უცაბედად „სასწაულად“ დაამუხრუჭა, რის შედეგადაც გადმოვიდა მარჯვენა სავალ ზოლში, სადაც ის მოტოციკლით გადაადგილდებოდა. მისთვის, აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო შეჯახების თავიდან აცილება.

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ უკნიდან დაჯახებისას, აგრეთვე ავტობანებზე, პირველადი ვარაუდი მეტყველებს იმაზე, რომ დამჯახებელმა ბრალეულად გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა იმით, რომ ან არ დაიცვა სავალდებულო სამუხრუჭე მანძილი, ან უყურადღებოდ მოიქცა, ან გადაადგილდებოდა საგზაო სიტუაციისა და ხილვადობისთვის შეუსაბამო სიჩქარით. თუმცა პირველადი ვარაუდის მტკიცებულების წინაპირობაა, რომ უდავო ან დამტკიცებელია „ძირითადი მოვლენა“, მაშასადამე, დაჯახება გზის იმავე ზოლში მდებარე წინ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ავტოსაგზაო შემთხვევის **სრული** გარემოება საყოველთაოდ აღიარებული გამოცდილების მიხედვით ჩვეული მოვლენა უნდა იყოს იმისთვის, რომ დავასკვნათ, რომ ბრალეულად იმოქმედა ავტოსაგზაო შემთხვევის იმ მონაწილემ, რომლის საზიანოდაც უნდა მოხდეს პირველადი ვარაუდის მტკიცებულების გამოყენება.

ეს ნიშნავს: თუ მხოლოდ დგინდება, რომ, როგორც წინამდებარე შემთხვევაში, მოტოციკლის მძღოლი მის სავალ ნაწილზე მოძრავ ავტოსატრანსპორტო საშუალებას დაეჯახა უკნიდან, მაშინ პირველადი ვარაუდის მტკიცებულება მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. თუმცა, თუ, გარდა ამისა, დგინდება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება უშუალოდ დაჯახებამდე გადმოვიდა მარჯვენა ზოლში, რის შემდეგაც ძლიერად დაამუხრუჭა, ამ შემთხვევაში არ გამოიყენება პირველადი ვარაუდის მტკიცებულება, ვინაიდან საქმე აღარ ეხება უკნიდან დაჯახების ჩვეულ კონსტელაციას, არამედ სახეზეა წინ მიმავალ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე უკნიდან დაჯახების ატიპური შემთხვევა. თუმცა კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ამისთვის არ არის საკმარისი მითითება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება შესაძლოა მარჯვენა ზოლში გადასულიყო, რის შემდეგაც მან ძლიერად დაამუხრუჭა, არამედ უფრო მეტი გარემოებაა დასადგენი.

VII. მტკიცების ტვირთის ზოგადი პრინციპებისგან გადახვევის სხვა შემთხვევები:

პირველადი ვარაუდის მტკიცებულების პრინციპების გარდა გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს მტკიცების ტვირთის ზოგადი პრინციპებისგან გადახვევის მრავალი შემთხვევა.

პირველ ეტაპს წარმოადგენს მითითებისა და მტკიცების ტვირთისთვის **ზომიერი მოთხოვნების** წაყენება, რამეთუ მხარეს, რომელიც დარწმუნებულია მის მიერ დასახელებული ფაქტების სიმართლეში, არ დავუწესოთ ისეთი მოთხოვნები, რომლის შედეგადაც ის **ვერ მოახერხებდა მითითებული ფაქტების დამტკიცებას**. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებს, განსაკუთრებით იმას, რამდენად მდგომარეობს მხარის მიერ მითითებული ფაქტების დამტკიცების შეუძლებლობა იმაში, რომ არსებით ფაქტებთან დაკავშირებით შეიძლება იცოდეს მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარემ. ამ საკითხს მოგვიანებით კიდევ ერთხელ დავუბრუნდები.

VIII. მტკიცების ტვირთი ქონების დაზღვევის შემთხვევასთან დაკავშირებით

გარდა ამისა, განსაკუთრებულ პრობლემებს ვაწყდებით, როდესაც დამზღვევმა უნდა ამტკიცოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომა მაგ. ეგრეთწოდებულ ქონების დაზღვევასთან დაკავშირებით (მაგ. ბინაში ქურდობის, ქურდობის, ბარგის დაზღვევებისას). ნივთების ქურდობისთვის დამახასიათებელია, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი ცდილობს შეუმჩნეველად და რაც შეიძლება ნაკლები კვალის დატოვების გარეშე ჩაიდინოს დანაშაული. აქედან გამომდინარე, ხშირად შეუძლებელია, პოსტფაქტუმ დანაშაულის ჩადენის კონკრეტული თანამიმდევრობის დადგენა. ამიტომაც დამზღვევის სასარგებლოდ სახეზეა მტკიცების ტვირთის გარკვეულწილად შემსუბუქება. დამზღვევი ასრულებს მასზე დაკისრებულ მითითებისა და მტკიცების ტვირთის მინიმალურ მოთხოვნებს, როდესაც ის მიუთითებს და დაამტკიცებს ქურდობის გარეგნულ სურათს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლებელს ხდის საკმარისი ალბათობით დავასკვნათ ქურდობის ფაქტის არსებობა.

IX. მტკიცებულების წარმოდგენის ხელშეშლა

მტკიცების ტვირთის შემსუბუქებას ადგილი აქვს აგრეთვე, როდესაც მოწინააღმდეგისთვის რთულდება მტკიცებულებების წარმოდგენა სამართლებრივი დავისას, ზოგ შემთხვევაში აგრეთვე უკვე მოსამზადებელ ეტაპზე, მიზანმიმართული ქმედებებით ან დაუდევრობით, თუ მაგ. ადგილი აქვს მოწინააღმდეგე მხარის მიერ არსებული მტკიცებულებების დამალვას ან განადგურებას. მტკიცების ტვირთის ეს შემსუბუქება განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა გადაიზარდოს მტკიცების ტვირთის შემობრუნებაშიც კი.

თუმცა ამის წინაპირობაა ყოველთვის, რომ მოწინააღმდეგე მხარე არღვევდეს ვალდებულებას ან იქცეოდეს არაკეთილსინდისიერად. ის ვინც დაუდევრად იქცევა და საქმეს აფუჩჩებს, არ აქვს უფლება აპელირებდეს, რომ მეორე მხარეს აქვს ინფორმაცია, რომლის არ გამჟღავნების უფლებაც მას არ აქვს.

X. დოკუმენტირების ვალდებულება

ზოგ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა ითხოვს განსაზღვრული პროცესების **დოკუმენტირებას**. ეს განსაკუთრებით მოქმედებს განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების გაწევისას, მაგ. როგორცაა ლაბორატორიის შედეგების დოკუმენტირება, თუმცა ეს შეიძლება აგრეთვე ითვალისწინებდეს ოპერაციის მიმდინარეობის დოკუმენტირების ვალდებულებას. დოკუმენტირების მსგავსი

ვალდებულება, როგორც წესი, არსებობს აგრეთვე სამართლებრივ, საგადასახადო ან კაპიტალდაბანდების სფეროებში კონსულტაციის გაწევისას. თუ დაირღვევა დოკუმენტირების ეს ვალდებულება, ამასაც შედეგად მოჰყვება მტკიცების ტვირთის შემსუბუქება, ან საჭიროების შემთხვევაში მტკიცების ტვირთის შემობრუნებაც კი.

XI. პირისპირ საუბარი

განსაკუთრებული სირთულეების წინაშე დგას მტკიცებულების წარმოდგენის პროცესი, როდესაც უნდა დადგინდეს ეგრეთწოდებული პირისპირ საუბრის პროცესი. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ამ პრობლემას არ ებრძვის სასამართლოსთვის რწმენის შექმნისთვის დაბალი მოთხოვნების წაყენებით, არამედ მოსამართლის მიერ ფაქტების დადგენასა და მტკიცებულების შეფასების ინტენსიურობასთან დაკავშირებით უფრო მაღალი მოთხოვნების წაყენებით, მათი დასაბუთების ჩათვლით. თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების პრინციპი და აგრეთვე ეფექტური სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა მოითხოვს, რომ მხარეს, რომელსაც არ ჰყავს გადაწყვეტილებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საუბრის მოწმეები, ეძლევა შესაძლებლობა პირადად მოყვეს სასამართლო პროცესზე მეორე მხარესთან შემდგარი საუბრის შესახებ. მსგავს შემთხვევებში, როდესაც მხარეს არ შეუძლია წარმოადგინოს მტკიცებულებები, იზრდება მოთხოვნები მოსამართლის მიერ რწმენის შექმნის დასაბუთებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან უნდა ჩანდეს, რომ მოსამართლემ გაიაზრა მხარის მიერ მტკიცებულების წარმოდგენის შეუძლებლობა და ყოვლისმომცველად და წინააღმდეგობების გამორიცხვით გაანალიზა საქმის მასალები და არსებული მტკიცებულებების შედეგები.

კიდევ ერთი რამ, რაც გასათვალისწინებელია: არ გაუმართლა იმას, ვინც უნდა ამტკიცოს პირისპირ საუბრის შინაარსი. ამ ფაქტს ვერ შეცვლის მოსამართლის ვერანაირი ძალისხმევა ჭეშმარიტების დადგენასთან დაკავშირებით.

XII. ზიანის შეფასება

გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, § 287-ის სახით არსებობს სამართლის პრაქტიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომლის მიხედვით, ზიანის მიმყენებელი გარემოებებისას, ზიანის ოდენობის წარმოდგენასა და მტკიცებულებებს წაეყენება მხოლოდ ზომიერი მოთხოვნები. ამ წესის მიხედვით, მოსამართლეს შესაძლებლობა აქვს შეაფასოს ზიანის ოდენობა, რომელიც მართალია კონკრეტულად ვერ დგინდება, თუმცა შეიძლება მისი გარკვეულწილად განსაზღვრა. მიუღებელი შემოსავლის დადგენისას § 287-ის მითითებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის შემსუბუქება განვრცობილია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 252-ით. მაგალითად, ინდემწარმის მიუღებელი შემოსავლის ოდენობის დადგენისას, როგორც წესი, აუცილებელი და სათანადო ქმედება იქნება, ზიანის დადგომამდე ბოლო წლებში მიღებული შემოსავლების შედეგების გათვალისწინება. თუმცა, აგრეთვე გასაგებია, რომ გარკვეული საზღვრები აქვს დაწესებული აგრეთვე სამეწარმეო ზიანის ამ მეტნაკლებად მისაღებ პროგნოზებს. წარმოიდგინეთ, მაგალითად, რომ ბავშვი იმგვარ დაზიანებას მიიღებს სკოლამდელ ასაკში, რომ მას მთელი მისი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ უმარტივესი საქმიანობის განხორციელებადა შეეძლება. რა გამოვიდოდა მისგან პროფესიული თვალსაზრისით ამ საბედისწერო შემთხვევას რომ არ ჰქონოდა ადგილი?

ყოველდღიური შემთხვევებისთვის, თუ მაგალითად ხდება ნივთის დაზიანება, არსებობს ზიანის ოდენობის დადგენის გამარტივებული მეთოდი. სასამართლო, როგორც წესი, უფლებამოსილია ზიანის აღმოფხვრისთვის აუცილებელი ხარჯების ოდენობა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 287-ის ფარგლებში, დაადგინოს მესამე პირის მიერ გამოწერილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე, რომელმაც შეასრულა ზიანის აღმოფხვრის დაკვეთა. თუმცა მატერიალურ-სამართლებრივად, ზიანის ანაზღაურების გერმანული სამართალი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს არა იმ ხარჯებს, რომელიც დამკვეთს მართებს მესამე პირის მიმართ ზიანის აღმოფხვრისთვის, არამედ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 249-ის მე-2 ნაწ. პირველი წინადადების შესაბამისად ზიანის აღმოფხვრისთვის ობიექტურად საჭირო ხარჯებს. თუმცა ხელშეკრულებით შეთანხმებული ან გადასახდელი ხარჯების ანაზღაურება წარმოადგენს § 287-ის მიხედვით შესაფასებელი ზიანისთვის საკმარის არაპირდაპირ მტკიცებულებას ზიანის აღმოფხვრისთვის ობიექტურად საჭირო ხარჯების ოდენობის დასადგენად, რამდენადაც ეს ხარჯები საგრძნობლად არსებითად არ აღემატება მსგავსი ზიანის აღმოფხვრისთვის საყოველთაოდ მიღებულ ფასებს.

XIII. მეორადი მითითების ტვირთი

არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სასამართლო პრაქტიკას ეგრეთწოდებულ **მეორად მითითების ტვირთთან** დაკავშირებით ნეგატიური ფაქტებისას და მტკიცების მოწინააღმდეგე მხარის შინაგან სფეროს განკუთვნილი გარემოებებისას. გერმანულ სამართალში **ნეგატიურ ფაქტებს** უწოდებენ გარემოებებს, რომლის დროსაც მტკიცების ტვირთის მქონე მხარემ - განსხვავებით იმისგან, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე - არ უნდა მიუთითოს და ამტკიცოს, რომ რაღაც მოხდა, არამედ ამის საპირისპირო, კერძოდ, რომ ეს **არ მომხდარა**. მსგავსი სიტუაცია, ხშირად, განსაკუთრებული პრობლემების წინაშე აყენებს მტკიცების ტვირთის მქონე მხარეს:

მტკიცების ტვირთის მქონე მხარემ მის მიერ დასამტკიცებელი პოზიტიური ფაქტისას, როგორც წესი, იცის, თუ, როდის და როგორ მოხდა შესაბამისი ფაქტი; აქედან გამომდინარე, მისთვის, ძირითადად, შესაძლებელია წარმოადგინოს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები და აგრეთვე შესაბამისი მტკიცებულებები. ამისგან განსხვავებით, სხვა სირთულეებთანაა დაკავშირებული ეგრეთწოდებული ნეგატიური მტკიცებულება, როგორც ფაქტების მითითებასთან აგრეთვე მტკიცებულებების წარმოდგენასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით მოქმედებს, როდესაც საქმე გვაქვს არა მოკლევადიანი სიტუაციიდან გამომდინარე შემთხვევასთან, არამედ, როდესაც გარემოება, რომელიც სადავოა, მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს. უკიდურეს შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის მქონე მხარე ვალდებული იქნებოდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა ამ პერიოდის ყველა წუთთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული გარემოება არ დამდგარა ამ ხნის განმავლობაში. ფაქტობრივად ის, აქედან გამომდინარე, ვერ შეძლებდა მტკიცებულებების წარმოდგენას. მტკიცებულებების წარმოდგენის მსგავსი სახის არსებითი გართულება სახეზეა, როდესაც, ზოგადი პრინციპების შესაბამისად, მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ ადგილი არ ჰქონია ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ განმარტებას, კონსულტაციას ან ინფორმირებას, ან რომ ადგილი არ ჰქონია ნებართვის მიღებას.

იმისთვის, რომ მსგავსი კონსტელაციების პირობებში მივალწიოთ მითითებისა და მტკიცების ტვირთის

ობიექტურ განაწილებას, გერმანული სასამართლო პრაქტიკა ირჩევს განსხვავებულ სამსაფეხურიან მოდელს:

ამ მოდელის მიხედვით ნეგატიური ფაქტის მტკიცების საჭიროება, საწყის ეტაპზე, არ იწვევს მითითებისა და მტკიცების ტვირთის გადანაცვლებას ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე. ნეგატიური ფაქტის მტკიცებასთან დაკავშირებული სირთულეები, მეტადრე, იმით ბალანსდება, რომ მტკიცების ტვირთის მქონე მხარე პირველ ეტაპზე მხოლოდ ზოგადად (და არა დასაბუთებულად) წარმოადგენს, რომ არ დამდგარა ნეგატიური ფაქტი. მეორე ეტაპზე უკვე მეორე მხარის ვალდებულებაა დასაბუთებულად წარმოადგინოს, რომ ადგილი ჰქონდა შესაბამისი გარემოების დადგომას და როგორ მოხდა ეს ყველაფერი მისი გადმოსახედიდან (მაშასადამე, მისი მტკიცებით პოზიტიური ფაქტის დადგომა). ამასთან დაკავშირებით მოწინააღმდეგე მხარემ მაგ. დასაბუთებულად უნდა მიუთითოს, თუ როდის და ვინ განახორციელა სადავო კონსულტაცია, ინფორმირება ან ნებართვის განმარტება. თუმცა მან არ უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების დადგომა. უკვე მესამე ეტაპზე მტკიცების ტვირთის მქონე მხარემ დასაბუთებულად უნდა მიუთითოს და საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე დაამტკიცოს, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს მტკიცების მოწინააღმდეგე მხარის მიერ - მისი მეორადი დასაბუთების ტვირთის ფარგლებში - განხორციელებული მითითება.

ამ კონცეფციის მიხედვით, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლების მქონე კრედიტორი, რომელსაც ევალება ნეგატიური ფაქტის დამტკიცება (მაგ. სამართლებრივი საფუძვლის არარსებობისთვის სკ-ის 976-ე მუხ. პირველი ნაწ. „ა“ ქვეპუნქტი) არ არის ვალდებული გამორიცხოს განხორციელებული შესრულების ნებისმიერი თეორიულად შესაძლებელი სამართლებრივი საფუძველი, არამედ საკმარისია, თუ ის, პირველ ეტაპზე, მიუთითებს, რომ არ არის სახეზე სამართლებრივი საფუძველი და აგრეთვე - რამდენადაც მოწინააღმდეგე მხარე აპელირებს სამართლებრივი საფუძვლის არსებობაზე - უკვე, მეორე ეტაპზე, მიუთითებს და დაამტკიცებს, რომ არ არსებობს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი საფუძველი. გარდა ამისა, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლების მქონე მოვალეს, მის მიერ მითითებულ სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით აქვს დამატებითი (მეორადი) მითითების ტვირთი, რამდენადაც კრედიტორი არ არის მის მიერ წარმოსადგენი გარემოების უშუალო მონაწილე და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ფლობდეს დაზუსტებულ ინფორმაციას არსებით ფაქტებთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლების მქონე მოვალე ფლობს მსგავს ინფორმაციას და მისგან უნდა მოველოდეთ ზუსტი ინფორმაციის ცოდნას.

მეორადი მტკიცების ტვირთის პრინციპების გამოყენება შეიძლება აგრეთვე მაშინ, როდესაც მითითებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მხარე უთითებს გარემოებებზე, რომელიც **მოწინააღმდეგე მხარის აღქმის სფეროშია** მოქცეული. როგორც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებისას უკვე აღინიშნა, ამის წინაპირობაა, რომ მტკიცების ვალდებულების მქონე მხარე არ უნდა იყოს მის მიერ წარმოსადგენი გარემოების შემსწრე და შესაბამისად არ უნდა ფლობდეს დაწვრილებით ინფორმაციას არსებით ფაქტებთან დაკავშირებით. მოთხოვნადობის ფარგლებში მოწინააღმდეგისგან შეიძლება მოვითხოვოთ, რომ მან არა მხოლოდ სადავო გახადოს მტკიცების ვალდებულების მქონე მხარის მითითებები, არამედ დასაბუთებულად წარმოადგინოს მის მიერ მითითებული გარემოებები. ამაში შედის პროცესზე წარმოსადგენი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საჭირო ცოდნა, რომელიც ეხება მოწინააღმდეგე მხარის შიდასაწარმოო სამართლებრივ ქმედებებს, მისი სამეწარმეო გათვლების საფუძვლები ან ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ანალოგიური შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც საქმე ეხება იმას, გაატარა თუ არა მოწინააღმდეგე

მხარემ ის ღონისძიებები, რომელიც შეიძლება მოეთხოვებოდეს მას ზიანის შესამცირებლად. მაგ. შეეცადა თუ არა საკმარისად, მომსახურების ან ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მოემდებნა დასაქმების სხვა შესაძლებლობები ან მიეღო სხვა შეკვეთები, რამეთუ ამით მიეღო დამატებითი (ზიანის შემამსუბუქებელი) შემოსავალი.

მტკიცების ტვირთის მხარის მიერ მტკიცებულების წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ნაწილობრივ სახეზეა ინფორმაციის მიღების კანონისმიერი მოთხოვნის უფლებები. გარდა პირდაპირი კანონისმიერი მოწესრიგებისა, გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ განავითარა კეთილსინდისიერების პრინციპიდან (გერმ. სამოქალაქო კოდექსის § 242) გამომდინარე ინფორმაციის გაცემის ვალდებულებები. ამისთვის აუცილებელია, რომ უფლებამოსილმა პირმა საპატიო მიზეზით არ იცოდეს მისი უფლების არსებობის ან მოცულობის შესახებ, არ შეეძლოს მისი მოთხოვნის უფლების მომზადებისა და სასამართლოს გზით განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის, შესაძლებლობების ფარგლებში, თავად მოძიება და ვალდებულების მქონე პირს მარტივად შეეძლოს საჭირო ინფორმაციის მიწოდება ამ უცოდინრობის აღმოსაფხვრელად. გერმანულ სამართალში მსგავსი სახის ინფორმაციის გაცემის ვალდებულების წინაპირობები, საერთო ჯამში, გაცილებით მკაცრადაა მოწესრიგებული ვიდრე ქართულში (სკ-ის 318-ე მუხ.).

ინფორმაციის გაცემის ამ ვალდებულებებს არ აქვს უშუალო გავლენა ზოგად საპროცესო-სამართლებრივ მოთხოვნებზე მითითებისა და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით. განსაკუთრებით არ არის შესაძლებელი გერმანულ საპროცესო სამართალში ინფორმაციის გაცემის ამ მოთხოვნის უფლებების დამატებით განხორციელება ძირითად მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოებული სამართლებრივი დავის ფარგლებში. მით უფრო ვერ დავაკისრებთ მოწინააღმდეგე მხარეს პირდაპირ მტკიცების ტვირთს ინფორმაციის გაცემის მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულების გამო, იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს ინფორმაციის გაცემას. თუმცა გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შესაძლებელს ხდის მოსარჩელისთვის, რომ ეგრეთწოდებული საფეხურებრივი სარჩელით, გერმანიის სამოქ. საპროცესო კოდექსის § 254-ის შესაბამისად, მართალია საპროცესო-სამართლებრივ ეტაპებზე (საფეხურებზე), თუმცადა ერთი სასარჩელო წარმოების ფარგლებში განხორციელოს ინფორმაციის გაცემისა და აგრეთვე დავის ძირითად საგანთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლებები.

XIV. ვალდებულების დარღვევის მიზეზობრივი კავშირი ზიანის დადგომასთან

არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონეა სასამართლო პრაქტიკის მიერ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით განვითარებული პრინციპები ვალდებულების დარღვევის მიზეზობრივი კავშირის თაობაზე ზიანის დადგომასთან. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისას, პრაქტიკაში, ხშირად, ვალდებულების დარღვევა კი არ წარმოადგენს მთავარ პრობლემას, არამედ ჰიპოთეტური მიზეზობრივი პროცესი. ამასთან დაკავშირებით გერმანიაში არსებობს განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც ამ მოხსენების ფარგლებში მხოლოდ შემოკლებული ფორმით წარმოგიდგენთ.

მკურნალობისას დაშვებული უხეში შეცდომა, რომელსაც, როგორც წესი, შეუძლია გამოიწვიოს ფაქტობრივად დამდგარი სახის ზიანი, როგორც წესი, იწვევს იმას, რომ ადგილი აქვს მტკიცების ტვირთის შემობრუნებას მკურნალობისას დაშვებულ შეცდომასა და ჯანმრთელობის დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივ კავშირთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მტკიცების ტვირთის შემობრუნებას

მიზეზობრიობასთან დაკავშირებით ადგილი აქვს აგრეთვე, როდესაც დადგინდება, რომ სამედიცინო თვალსაზრისით საჭირო გამოკვლევის არ ჩატარება წარმოადგენდა უხეშ შეცდომას.

მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ზედამხედველობისა და კონტროლის ვალდებულების დარღვევისას (მაგ. ზედამხედველობა საცურაო აუზების ტერიტორიაზე, ზედამხედველობა ბავშვებზე, საშიში დანადგარების წარმოების ზედამხედველობა) ფაქტობრივი ვარაუდი მეტყველებს ვალდებულების დარღვევის მიზეზობრივი კავშირის სასარგებლოდ ზიანის დადგომასთან, რამდენადაც ზიანის თავიდან ასაცილებლად საკმარისი იქნებოდა ჯეროვანი კონტროლის ან ზედამხედველობის განხორციელება, და თუ ზუსტად იმ საფრთხის რეალიზება მოხდა, რომელიც თავიდან უნდა აცილებულიყო დარღვეული ვალდებულებით.

გარდა ამისა, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ტენდენცია იმ მიმართულებით, რომ ივარაუდება მტკიცების ტვირთის შემობრუნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქცევის ვალდებულების ობიექტური დარღვევისას (თუ არ იკვეთება მოვალის ბრალეულობა, ის ისედაც თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან გერმ. სამოქ. კოდექსის § 280-ის პირველი ნაწ. შესაბამისად), რამდენადაც ზიანის მიზეზი მომდინარეობს მოწინააღმდეგე მხარის საფრთხისა და პასუხისმგებლობის სფეროდან.

გარდა ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ვარაუდობს, რომ მათში სრულყოფილად და სწორადაა გადმოცემული ხელშეკრულების მხარეთა განმარტებები გარიგებასთან დაკავშირებით. მტკიცების ტვირთი მოდის მხარეზე, რომელიც უთითებს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულისგან განსხვავებულ ნებაზე. თუმცა სასურველის სრულყოფილად და სწორად გადმოცემის ვარაუდის წინაპირობაა, რომ ხელშეკრულების ტექსტი გამოსადეგი იყოს ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისთვის. თუ ტექსტი ენობრივად გაუგებარია, მაშინ გამოირიცხება ვარაუდი განსაზღვრულ განმარტებასთან დაკავშირებით.

ეს ვარაუდი მოქმედებს მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის ურთიერთობისას, ვინაიდან მხოლოდ მათ შეუძლიათ გადაწყვეტილება მიიღონ იმასთან დაკავშირებით, სრულყოფილად დააფიქსირებენ გარიგებაზე დაფუძნებულ ნებას ხელშეკრულებაში, თუ მხოლოდ ნაწილობრივ. გარდა ამისა, ხელშეკრულების მხარეს, ფაქტობრივი ნების შეგნებულად არასრულყოფილი ან არასწორი გადმოცემით შეეძლებოდა ზიანის მიყენება მესამე პირებისთვის.